ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ბრძანება:**ბ61. 01260407**

თარიღი:**09/02/2026**

ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საგადასტრო კოდი: 01.18.03.061.039) 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გახაბერ გზირიშვილისთვის (პ/ნ: 01002011178) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122^1 მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 15.01.2026წ. N26.20.15 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.01.2026წ. N7 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კახაბერ გზირიშვილს (პ/ნ: 01002011178) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცეს: ქ. თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.061.039), ამ ბრძანების დანართი 1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 35 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. იჯარის მოქმედების პერიოდი განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.

3. საიჯარო პირობები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად.

4. განისაზღვროს საიჯარო ქირის წლიური საფასურის თანაბარწილად გადახდის შესაძლებლობა ყოველ 3 თვეში ერთხელ პერიოდულობით.

5. ეს ბრძანება, კახაბერ გზირიშვილის (პ/ნ: 01002011178) მხრიდან გაცნობისთანავე გათანაბრებულია იჯარის ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს თანდართული საიჯარო პირობები.

6. საიჯარო ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით) და კახაბერ გზირიშვილი (პ/ნ: 01002011178).

7. ამ ბრძანებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს განონმდებლობით.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს განონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).


გიორგი კობიაშვილი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სიტუაციური ნახაზი

დანართი№1



ძ. თბილისი,რკინის რიგის ქუჩა

რეგისტრირებული ნაკვეთი: 01.18.03.061.039 / 536 კვ.მ

სარგებლობის უფლებით გასაცემი ფართი/ 35 კვ.მ